



79/3-113/22 2 12012022

79/3-113/22
12-01-2022

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრს
ნათელა თურნავას

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- რამდენი ჰესის მშენებლობა მიმდინარეობს საქართველოს ტერიტორიაზე; ცალ-ცალკე როგორც მცირე, საშუალო ასევე დიდი ჰესები; რომელი კომპანიები ახორციელებენ ჰესების მშენებლობას; კომპანიების ჩამონათვალი და მიმდინარე პროექტის მითითება, რომელ ჰესს აშენებს კონკრეტული კომპანია/ები და სად;
- სახელმწიფოს მიერ, უახლოეს პერიოდში დაგეგმილია თუ არა ჰესების მშენებლობა და სად;
- სახელმწიფოს მიერ შემუშავებული კრიტერიუმები კომპანიების მიმართ და სტანდარტები კომპანიების მიერ ვალდებულების სრულად და შესაბამისად შესრულების თაობაზე.

დამატებით, გთხოვთ, გაგვაცნოთ ჰესებთან დაკავშირებით სახელმწიფოს ხედვა;

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა წითლიძე



KA020164202960122

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრი



MINISTER OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს 2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 23/751

14 / თებერვალი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ანა ნითლიძეს

ქალბატონო ანა,

თქვენი 2022 წლის 12 იანვრის № 79/3-113/22 წერილის პასუხად, დანართის სახით გიგზავნით სამშენებლო ფაზაზე მყოფი ჰიდროელექტროსადგურების ჩამონათვალს. გარდა მშენებლობის ფაზაზე არსებული პროექტებისა, მიმდინარეობს ჰიდროს, ქარისა და მზის ელექტროსადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლები, კერძოდ კი კვლევის ეტაპზეა 101 ჰიდროელექტროსადგურის (ჯამური სიმძლავრე 813 მგვტ), 12 ქარის ელექტროსადგურის (ჯამური სიმძლავრე 734 მგვტ) და 7 მზის ელექტროსადგურის (ჯამური სიმძლავრე 146,3 მგვტ) პროექტები. ამასთან, გაცნობებთ, რომ სახელმწიფოს მიერ, უახლოეს პერიოდში, საკუთარი ხარჯით არ არის დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა.

დამატებით გაცნობებთ, რომ ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განხორციელება რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 ოქტომბრის № 515 დადგენილებით ან/და საქართველოს კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ (რაც, თავის მხრივ მოიცავს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აგვისტოს N426 და 2020 წლის 2 ივლისის N403 დადგენილებებს).

სახელმწიფოს ხედვა ჰიდროელექტროსადგურებთან და ზოგადად ენერგეტიკულ პოლიტიკასთან დაკავშირებით, შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 24 ივნისის № 3758-II დადგენილება „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე“. გარდა ზემოაღნიშნულის, მიმდინარეობს „საქართველოს ენერგეტიკის და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის“ (შემდგომში - „NECP“) შემუშავება, რომელიც ეფუძნება ევროკავშირის მმართველობითი რეგულაციის ((EU) 2018/1999) და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონს და აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცება, საქართველოს პარლამენტის მიერ, დაგეგმილია მიმდინარე წელს. „NECP“ მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: დეკარბონიზაცია; ენერგოეფექტურობა; ენერგეტიკული უსაფრთხოება; შიდა ენერგობაზარი; კვლევები, ინოვაციები და კონკურენტუნარიანობა.

უნდა აღინიშნოს, რომ „NECP“-ის მიზანია, განსაზღვროს არსებული, დაგეგმილი და შესაძლო ინვესტიციები და პოლიტიკა, რომელიც უნდა განხორციელდეს უახლოესი წლების განმავლობაში. გარდა წინამდებარე დოკუმენტებისა, ყოველწლიურად მუშავდება „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა“, რომელიც ითვალისწინებს ენერგოსისტემის გრძელვადიან პერსპექტივაში მომზადებას, რათა გენერაციისა და დატვირთვის გაზრდის შესაბამისად მოხდეს გადამცემი ქსელის გაძლიერება-გაფართოება-მოდერნიზაცია.

პატივისცემით,

დანართი: 3 ელექტრონული ფაილი.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამმდარსმულია
ელექტრონულად



ლევან დავითაშვილი

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების“ თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 9 ივნისის №3259 – II დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი III, №80, 14.06.2006, მუხ. 1035).
3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

დავით უსუფაშვილი

ქუთაისი,

24 ივნისი 2015 წ.

N3758-III

საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის

ძირითადი მიმართულებები

1. საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის მიზანი

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს ეროვნული ინტერესების განხორციელებას საკმარისი რაოდენობის, მაღალი ხარისხის, სხვადასხვა სახის ენერჯის უწყვეტად და მისაღებ ფასად მიწოდებით. ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება ეკონომიკური განვითარებისა და ენერგეტიკის დარგში დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკა მოიცავს ქვეყნის ენერგეტიკის დარგის პრიორიტეტებს და დარგის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს, აგრეთვე ენერგეტიკული უსაფრთხოების ძირითად მიმართულებებს. ენერგეტიკის დარგის განვითარების ერთიანი, გრძელვადიანი სახელმწიფოებრივი ხედვის ჩამოყალიბება დარგის განვითარების მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი სტრატეგიების, მათზე დაფუძნებული ენერგეტიკული პროგრამების შემუშავების და დარგის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის დახვეწის საფუძველი გახდება.

2. საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები



საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია:

ა) ენერჯის მიწოდების წყაროების დივერსიფიკაცია, საქართველოს ენერგეტიკული რესურსების ოპტიმალური ათვისება და რეზერვების შექმნა

ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია ნავთობის, ბუნებრივი გაზისა და ელექტროენერჯის მიწოდების წყაროების დივერსიფიკაცია, აგრეთვე ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების ეფექტიანი ათვისება და საჭიროების შემთხვევაში ნავთობის ან/და ნავთობპროდუქტების მინიმალური სტრატეგიული რეზერვების შექმნა. საქართველოში არსებული ბუნებრივი გაზის, ნავთობისა და ქვანახშირის მცირე მარაგების ფარგლებში ამჟამად მათი გარკვეული რაოდენობა მოიპოვება, თუმცა ამ პირველადი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ აუთვისებელია. ამდენად, საჭიროა არსებული მარაგებისა და პოტენციური რესურსების ძებნა-ძიებისა და რაციონალური ათვისების მაქსიმალური ხელშეწყობა და ქვეყანაში ელექტროენერჯიაზე არსებული მოთხოვნილების საკუთარი ენერგეტიკული რესურსებით დაკმაყოფილება იმპორტირებული ენერგომატარებლების ეტაპობრივი ჩანაცვლებით;

ბ) საქართველოს განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისება

კლიმატის ცვლილების პრობლემის გადაჭრისა და ქვეყნის სუფთა ენერჯით უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისება. საქართველო მდიდარია ჰიდრორესურსებით. მას აქვს ქარის, მზის, ბიომასისა და გეოთერმული წყლების ენერჯის პოტენციალიც, რაც საშუალებას იძლევა, შეიქმნას დამატებითი სიმძლავრეები ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების განხორციელებით. ამისთვის აუცილებელია საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება სტაბილური, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული სამართლებრივი ბაზის შექმნით, მეზობელი ქვეყნების ენერგეტიკულ ბაზრებთან მჭიდრო და სტაბილური სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებით, სათანადო სასისტემო და სისტემათაშორისი ინფრასტრუქტურის განვითარებით, შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელებით. ეს უზრუნველყოფს იმპორტირებულ ენერგომატარებლებზე დამოკიდებულების შემცირებას და ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოება

ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისათვის მნიშვნელოვანია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი დაახლოება. ეს ხელს შეუწყობს კონკურენტული, გამჭვირვალე და ეფექტიანი ენერგეტიკული ბაზრის მოდელის ჩამოყალიბებას, მიმზიდველი და სტაბილური საინვესტიციო გარემოს შექმნას, საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ენერგეტიკული რესურსებით ვაჭრობის განვითარებას, ეკონომიკურად და ეკოლოგიურად გამართლებული გზით განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისებას და ენერგოეფექტიანობაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელებას.

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებელს, რომელსაც აქვს მოქმედი სტანდარტების შესაბამისი ელექტროენერჯის მოხმარების აღრიცხვის კვანძი, შეეძლოს ელექტროენერჯის ნებისმიერი მიმწოდებლისგან შეძენა. 2017 წლიდან მომხმარებელს უფლება უნდა ჰქონდეს, გახდეს პირდაპირი მომხმარებელი, თუ ის დააკმაყოფილებს შესაბამისი „ქსელის წესებითა“ და „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ დადგენილ მოთხოვნებს;

დ) საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის განვითარება და ენერჯით ვაჭრობის მექანიზმის გაუმჯობესება

კონკურენტული საბაზრო ურთიერთობები ყველაზე მოქნილი ინსტრუმენტია ელექტროენერჯისა და ბუნებრივ გაზზე მოთხოვნილების და მათი მიწოდების ოპტიმიზაციისთვის. ამის მიღწევა შესაძლებელია კონკურენტული ენერგეტიკული ბაზრის პირობებში. კონკურენტული ენერგეტიკული ბაზრის ეტაპობრივი ჩამოყალიბებისა და ენერჯით ვაჭრობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სამართლებრივი და სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება, ძლიერი და გამჭვირვალე ინსტიტუტების შექმნა, დარგის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის დახვეწა, ეტაპობრივი დერეგულირების გაგრძელება და საქართველოს ენერგეტიკული სისტემის რეგიონალურ ენერგეტიკულ სისტემებთან ტექნიკური სინქრონიზაცია;

ე) საქართველოს, როგორც რეგიონის სატრანზიტო ქვეყნის, როლის გაზრდა

საქართველო მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანაა. მას, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ დერეფანს, აქვს იმის პოტენციალი, რომ გაზარდოს თავისი როლი აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანზიტო პროექტების განხორციელებაში. გეოპოლიტიკური მდებარეობის



ეფექტიანი გამოყენება ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებას და ეკონომიკურ განვითარებას;

ვ) საქართველო – სუფთა ენერჯის წარმოების და ამ ენერჯით ვაჭრობის რეგიონალური ცენტრი

საქართველოში არსებული ჰიდრორესურსები და სხვა განახლებადი რესურსები, შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო საშუალებას იძლევა, ქვეყანა სუფთა ენერჯის წარმოების და ამ ენერჯით ვაჭრობის რეგიონალურ ცენტრად იქცეს.

ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია გაგრძელდეს მუშაობა შესაბამისი სამართლებრივი ბაზის დახვეწისთვის, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. ეს ხელს შეუწყობს საქართველოში არსებული სუფთა ენერჯის პოტენციალის გამოყენებას და ქვეყნის სუფთა ენერჯით ვაჭრობის რეგიონალურ ცენტრად ქცევას;

ზ) ენერგოეფექტიანობისადმი ერთიანი მიდგომის შემუშავება და განხორციელება

წარმოებული პროდუქციის ენერგოტევადობა მისი კონკურენტუნარიანობის და ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია. ეს მაჩვენებელი საქართველოში არა მხოლოდ ევროკავშირის წევრი, არამედ სხვა განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებზე მაღალია. ენერგოტევადობის შესამცირებლად ენერჯის მოხმარების გონივრული მართვა ეკონომიკური განვითარების და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების წინაპირობაა.

ენერჯის წარმოების, გადაცემის, განაწილებისა და მოხმარების სწორი მართვა, აგრეთვე ენერგოეფექტიანობის პროგრამების განხორციელება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში ენერჯის მოხმარების ოპტიმიზაციაში. ენერჯიაზე მოთხოვნილების მართვის სისტემის ხელშესაწყობად უნდა შეიქმნას შესაბამისი სამართლებრივი ბაზა, დაიგეგმოს და განხორციელდეს ენერგოეფექტიანი მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების შექმნასა და დანერგვაზე ორიენტირებული ღონისძიებები, შემუშავდეს და დაწესდეს ენერგოეფექტიანი პროგრამების განხორციელებისათვის ენერგეტიკული საწარმოებისა და მომხმარებლების წახალისების მარეგულირებელი ნორმები;

თ) ენერგეტიკული პროექტების განხორციელებისას გარემოსდაცვითი კომპონენტების გათვალისწინება

სოციალური და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ზეგავლენის მქონე ენერგეტიკული პროექტების განხორციელებისას, მათ შორის, დიდი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება, რომელიც მოიცავს სოციალური და გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასებას, ადგილობრივ თემებთან კონსულტაციების გამართვას, შესაბამისი ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;

ი) მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და მომხმარებლის ინტერესების დაცვა

მეტად მნიშვნელოვანია მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება (მათ შორის, ენერჯის გადამცემი და გამანაწილებელი ინფრასტრუქტურის განახლება, რეაბილიტაცია და ინდივიდუალური გამრიცხველიანების დასრულება) და მომხმარებლის ინტერესების დაცვა. ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორების მნიშვნელოვან ნაწილს ბუნებრივი მონოპოლიები შეადგენს. ამდენად, საჭიროა მარეგულირებელი ორგანოს რეგულირების ფუნქციის გაძლიერება, რაც, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, სამართლიანი მიდგომის პრინციპის დაცვით უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის მონიტორინგს და მომსახურების მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის ურთიერთობების რეგულირებას. ამისთვის უნდა განისაზღვროს მომსახურების ხარისხის ახალი სტანდარტები და მისი შეფასების კრიტერიუმები, დადგინდეს მომსახურების ხარისხის მონიტორინგის მარტივი და სამართლიანი წესები მარეგულირებელი ორგანოს მიერ.

ენერგეტიკული ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის აუცილებელია გამჭვირვალე და სამართლიანი ტარიფების დადგენა. სამართლიანმა ტარიფმა უნდა უზრუნველყოს, რომ, ერთი მხრივ, საწარმომ სრულად აინაზღაუროს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები, ხოლო, მეორე მხრივ, მომხმარებელმა მიიღოს მაღალი ხარისხის მომსახურება სამართლიან და გამჭვირვალე ფასად. მომხმარებელთა სოციალურად დაუცველი ფენების შეუფერხებელი ენერგომომარაგება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული სოციალური პროგრამებით და მიზნობრივი სუბსიდიებით. ამასთანავე, ენერგეტიკული სისტემის გრძელვადიანი, მდგრადი ფინანსური და ტექნიკური განვითარების უზრუნველსაყოფად სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლისათვის შეიძლება დადგინდეს გრძელვადიანი, წინასწარ განსაზღვრული (მათ შორის, ზღვრული) ტარიფები.



N	პროექტი	კომპანია	რეგიონი	მუნიციპალიტეტი	ელექტროსადგურის ტიპი
1	ჭანი ჰესი	შპს "ჭანიჰესი"	სამეგრელო - ზემო სვანეთი	წალენჯიხა	ჰესი
2	სკურდიდი 3 ჰესი	შპს "ენერგონი"	აჭარა	ხელვაჩაური	ჰესი
3	ტაშისკარი ჰესი	შპს "ელ პი ჯი"	სამცხე - ჯავახეთი	ბორჯომი	ჰესი
4	საშუალა ჰესი	შპს "ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია"	გურია	ჩოხატაური	ჰესი
5	შევაბური ჰესი	შპს "ბიჯი თრეიდი"	აჭარა	ქედა	ჰესი

მდინარე	დადგმული სიმაღლე	ელექტროენერგიის სავარაუდო გამოშვება	ეტაპი/ფაზა
ჭანისწყალი (მდ. ხობისწყლის შენაკადი)	0.53	3.450	სამშენებლო ფაზა
სკურდიდი	1.43	10.610	სამშენებლო ფაზა
მტკვარი (ტაშისკარის სარწყავ არხზე)	1.24	8.600	სამშენებლო ფაზა
საშულა	2.25	10.600	სამშენებლო ფაზა
აკვრეთა	1.94	15.440	სამშენებლო ფაზა